დროება

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, Арт. ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულ ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასოგადასულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1876 წლის ხელის-მოწერა

მომავალს 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც ამ 1875 წელს გამოდის.

რედაქცია ეცდება მხოლოთ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

ხელის-მოწერა მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, Арт. ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, Амат-ნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба.“* ამ მოკლე ხანში გამოვაცხადებთ, სხვა ქალაქებში ვისთან შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა.

გაზეთის ფასი—გაგზავნით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	— “
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა.	2	და 50
ერთის თვისა	1	— “

აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ მომავალი წლიდამ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება, გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ალაგი გარკვევით იყოს დაწერილი.

იბეჭდება და ამ დღეები გამოვა

დროების პატარა

კალენდარი

გამოსელისა თანავე საქართველოს ყველა მაზრებში გაიგზავნება გასასყიდლად.

ფასი ყველგან ორი შაური

განცხადება

„დროების“ რედაქცია, ერთის ქართული ლიტერატურის მოყვარე პირის მონდობილობით, აცხადებს, რომ ვინც რედაქციაში წარმოადგენს, ან სამუდამოთ ან მხოლოთ გადასაწერად, ქართულ პოემას, სახელად

„სავანე გმირთა“

იმწამსვე ათს თუმანს მიიღებს ჯილდოთ.

ხსენებული პოემა, როგორც გაგვიგონია, ერთს ვილაც ბერს დაუწერია, ეგონებთ წარსულ საუკუნეში. იმაში აწერილია ლექსით ქართველი გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ 30—40 წლის წინათ, უფ. პლატონ იოსელიანსა და თ. ბიორგი ერისთავს უნახავთ ის სადღაც და წაუკითხავთ.

საქართველო

ხმა სიმართლისა

—

რაც უფრო თვალ-ყურს ვადევნებ, რაც უფრო მინდა დაუახლოვდე ჩვენს ხალხს ჰაზრით და გონებით, უფრო და უფრო საზიზღარს, საძაგელს და იმედის დამკარგველ სურათს გვიხატავს ჩვენ იმისი მდგომარეობა.

შეხედეთ ერთი ამ მუშაკს, კაცობრიობის საფუძველს, რომელიც თავის ოფლით ირჩენს თავს და აკმაყოფილებს იმ საზოგადოების მოთხოვნილებას, რომელიც ყველგან და ყოველთვის ჰყოფილა და იქნება ქვეყნის სარჩენად. აი აქ თავდება ხალხის მოძრაობა, კმაყოფილდება მარტო პირუტყუოს მოთხოვნილებით. სად არის მათში ის სიმხიარულე, რომელიც ასე ამხნევებს მუშაკის გულს? სად არის ძმათ მოყვარეობა, სად არის მორალური ძალა?

აბა შეხედეთ ახლა ამ ქვეყნის მცონარე ინტელიგენციას? როგორ დაულიათ პირი, — თითქო ზეციურ მ ა ნ ნ ა ს შესცქერიან და უცდიანო! რათ დაგიკრეფიათ მკლავები?

ბანა ვერ ხედავთ, რომ თუ მკლავებს დ რ ო ე ბ ი თ ი მოსვენება სჭირიან, მეორე ნაწილი სხეულისა— თავი უნდა გაანძრიოთ?

ვერ ხედავთ, რომ თქვენს ირგვლივ ყველა მუშაობს, ყველა ავარჯიშებს ჭკუა-გონებას, ყველა ცდილობს, რომ არ ჩამორჩეს დროების მოთხოვნილებას? ერთი მითხარით: ვისგან მოელით გამდლობას, განა არ კმარა ამდენ ხანს ნორჩობა? ბესმისთ ბუკის ხმა, რომელიც ერთბაშათ ხმობულობს ყველას, ბრუნდს და მართალს, როცა ყველამ უნდა მისცეთ ანგარიში თავიანთი მოქმედებისა? რა პასუხი გაქვთ?

რა მომავალს უხატავთ და რა ბედს უნდა მოელოდდეს თქვენის უდარდელობით, თქვენის სიზარმაცით სამშობლო? ბაიგეთ, რომ როგორც ცალკე პირის, აგრეთვე მთელი ხალხის ბედნიერობა, დღეგრძელობა იმასში მდგომარეობს, რომ ყველა პატიოსანმა და სამშობლოს მოყვარულმა შვილმა დაულალავათ და უზოგველათ, შეძლებისა და გვარათ, იზრუნოს და იშრომოს სამშობლოს წარმატებისათვის, რომ ყველამ: თავადმა, გლეხმა, აზნაურმა, ერთმანეთს უნდა მისცეს ძმობის და ერთობის ხელი, ერთმანეთს დაეხმაროს და განუზიაროს ის, რაც მას აქვს და თავის მოძმეს აკლია; და უკანასკნელ იმაში მდგომარეობს, რომ ის ნაკლულევანება, რაც კი აკლია საზოგადოებას, შეიმსოს და შეისწავ-

---

ფელტონი

სცენები სოფლის ცხოვრებიდამ

—

(სასოფლო სასამართლოს წინ, მინდორზედ, შეყრილან რამოდენიმე გლეხები. ამ დროს მოდის ვაჭარი. ერთი გლეხი ბიდის იმასთან და თავს უკრავს).

— ბამარჯობა, ვაჭარო!

— ღმერთმა ნუ გაგიმარჯოს, შენ რომ კაი კაცი ხარ!

— რისთვინა, კაცო?

— როგორ რათა! გუშინ რო შემოგითვალე, ვენახში მიშველე მეთქი, არ გეკადრებოდა, მოთრეულიყავ!

— მამა გიცხონდება, რისთვინ უნდა გიშველო? შენ რას მიშველი, რო მე გიშველო! მიშველი კი არა, ღმერთმანი, შენთან რო მოვიდე, ერთი ტაქანი ღვინო რა არის, არ შემომეპატიჟები.

— რას ამბობ, ოხერო, ეეი! სუ თქვენი მშველელი არა ვარ, მა ვილა ოხრისა ვარ!

— აბა მაშ თუ ჩვენი მშველელი ხარ, ერთი ორი თუმანი მიჭირს და ხელი გამიმართე. სუ შენი მოსამსახურე ვიქნები, მერთმანი. რა ექნა, ღარიბი კაცი ვარ, უშველო ვარ, ხო იცი; უნდა შემაძლებინო და ღმერთი შენ შეგაძლებინებს.

— ბატონი ხარ, თუნდა ხუთი თუმანი წაილე.

— მე მართლა გეუბნები, ჩემა მზემ.

— და ტყუილს ვინ გეუბნება, შე მხეცო!

— მაშ იმედი მქონდეს?

— ღმერთმანი მეთქი, კაცო, არ გესმის? ბასესხებ, მაგრამ სარგებელ რას მომცემ?

— რაც შენი ნება იყოს! ერთი მანეთიც რო მითხრა, უნდა მოქცე, მეტი რა ილაჯი მაქვს; მაგრამ შენ იცი, რასაც გამომართმევ.

— თვეში ათ შაურს გამოგართმევ თუმანზე; სხვები სამ აბაზსაც ილებენ, მაგრამ რა, ღარიბი კაცი ხარ, სუ რო დაიკარგოს, მაინც არა უშავსრა.

— ეხლა ე გამაგებიე, ათ-ათ შაური რას იზავს წელიწადში?

(ვაჭარი ჰფიქრობს. ბოლოს წამოავლებს ქვას ხელს და დაიწყებს მიწაზედ ციფრების წერას; ცოტა ხანს შემდეგ)— მანეთი რალა... ეს ერთ თვეში, წელიწადში.. ეგ არის რალა, თვეში მანეთი ორ თუმანზედ.

— ეგ თვეში მეც ვიცი, მარამ წელიწადში რას მოჭრის, ის მინდა გავიგო დაა!

— აი რა გითხრა: წადი, ივანე მწერალი მოიყვანე და იმან იცის ამისთანები; ის სუ გიანგარიშებს და ქაღალდსაც დაგიწერს. მარამ, მამა გიცხონდება, თავის დროზე რიგიანათ ჩამაბარე. ძიელ მეჯაერება, თუ პირველათ პირიანათ არ მომექცა კაცი. აი, ლ ე ვ ა ნ ა, მერთმანი, ოცი თუმნობით, ათ თუმნობით მიაქვს ხოლნე ჩემგან ფული უთამასუქოთ. ჩქითვინ რო ვენდობი, პირიანი კაცია. წადი, მოიყვანე მწერალი და დააწერინე ქაღალდი იმ პირობით, რომ, თუ დროზე არ მომეცი ჩემი ფული, ა იქ რო ვენახი გაქ, იმაზე ხელი აიღე!

— ბაატონი ბძანდები! თუ არ მოგცე, ეგრე იყოს.

— ჰოო, ეგრე! ორ ქაღალდს დაგიწერს: ერთი, რო ორი თუმანი ისესხე ერთი წლის ვადით თავის

ლოს, დაეხმაროს ერთმანეთს ჭკუა-გონების გაკარჯვიშებაში, მისცეს შემწეობა სწავლისა მსურველს სწავლაში, გამოზარდოს შვილები, გაიცნოს სხვა ქვეყნები, მათი წყობილება, მოლოდინი და მიმართულება, გააცნოს აგრეთვე თავის თავი, თავის სამშობლო სხვებს და საზოგადოთ იმათ, ვინც კაცობრიობის კეთილ-დღეობის მომსურნეა, ვინც საზოგადო კეთილ-დღეობისათვის მუშაობს...

როცა უხილავი ქარი შამოუბერავს ჩვენს საზოგადოებას და მათდა უნებურათ გამოაჭეტინებს თვალებს და გაანძრევინებს თავს, რომელიც ყოველთვის ბურუსში აქვთ,—ყვირის: „მე არაფერი ვიცი, შვილებს ვზრდი, ვხარჯავ, და ეს ახალ გაზრდობა, ახალ თაობა, ნასწავლნი არაფერში არ შეხმარებიან და ვერ ვხედავ მათგან ვერავითარ სარგებლობას!“

მითხარი ერთი, სად არის ეს ახალთაობა და ან რამდენი გამოზარდე შენ ხვირიანათ? თუ ერთხელ შვილი მიგიგდია სემინარიაში ან გიმნაზიაში, შენ გგონია, რომ ფილოსოფოსად უნდა გახდეს; ან თუ ვინმე შენისთანამ უმაღლეს სასწავლებლებს უსუნა, ორიოდე რალაცაები შეისწავლა, შენ ამათგან ელი დახმარებას? თუნდა რომ ამ უკანასკნელმა შეასრულეს სწავლა, მაგრამ როცა დაბრუნდნენ შინ, გაერიენ, ჩემო ქართველო, შენს ცხოვრების ტალღაში, შენ ის გასვარე, და დააღწყე მას უპირველესი მისი მოვალეობა—თანამოძმეების შემწეობა.

ვიმეორებ, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით ახალთაობა არ არის; არიან მხოლოდ ორი-სამი პატიოსანი პირები, ნასწავლნი, სამშობლოს ბედნიერებისათვის მუშაკნი, რომელთაც სიცოცხლის მიზნათ აულიათ თავის შეწირვა თანამოძმეების და სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის. ეს პირები ჯერ არ შეადგენენ არც წრეს და არც საზოგადოებას; მათი რაზმი არ არის ჯერ საკმარისი და ამისთვისაც მათ არა აქვთ დროებით ძალა, ამისთვისაც ვერ გრძნობთ მათ მუშაობას.

ვინც კი ყვირის, ვისაც გარეგანი სახე გამოუცელია, საზოგადოებას თუ ახალთაობათ მიგაჩნია,—ეს მისი შეცდომაა. საზოგადოების უბედურება, სიბრმავე მასში მდგომარეობს, რომ ვინც პირველათ მას გამოელაპარაკება, ვინც პირში მოეფერება, ვინც უფრო ტკბილათ და ნელ-ნელა ტყავს აძრობს და ზედ უმატებს, რომ მე ახალ თაობის წევრი ვარო, ის მიაჩნია ნამდვილ განათლებულათ და ახალ თაობათ. ბაიგეთ, რომ ნამდვილ ახალ თაობას თქვენი დაცემა კი არ ჰსურს, არამედ თქვენი ამაღლება, სიმძლავრე, განათლება და, თუ გინდა, სიმდიდრეც; გაიგეთ, რომ ამ უკანასკნელ პირების რიცხვი ცოტანი არიან და მათ ხელში ჯერ არ არის ძალა. ბაიგეთ კარგათ, რომ ნუ მიენდობით ყველას, ვინც გზაზე შამოგხვდებათ, და ისწავლეთ ცრუს გამორჩევა მართლის გან.

შეხედეთ ამ ფილოსოფოსსა: ხედავთ როგორ ჩამოუშვია ცხვირი, დაჰყურებს მიწას, ვითომ ითელიდეს რამდენია დედა-მიწის ზურგზე ჭიანჭველა; ილლიაში გამოურჭვია გაბერილი პორთფელი, და მიზომავს ნელ-ნელა ქუჩას. როგორ გგონიათ: ეს კაცი ნამდვილ ახალ თაობის მწევრია თუ არა? მოდი, მე გაგაცნობთ, მე კარგათ ვიცნობ ამას: როცა ეს კაცი სწავლობდა გარეშე ქვეყნებში, უპირველესი პატრიოტი, თავ გამოდებელი კეთილ საქმეებში და თავის მოძმეების შემწე იყო; დღეს, როცა დაბრუნდა სამშობლოში, როცა მისგან საჭიროა დახმარება, მუშაობა, შემწეობა, მან ჰაზრები შესცვალა, დაივიწყა პატიოსანი ყმაწვილობის გულის ძგერა და მოჰკიდა ძველ ცოდვეებს ხელი. აი იმ პორთფელში მას უძევს პროექტი—თუ რანაირათ გაჰყიდოს თავის მოყვასი ტანზე რომ ახალი მოდის სერთუკი აცვია. აი იმ სერთუკში მას დამალული აქვს ნაყროვნებით საესე გული; თავზე შლიაპა ახურავს,—აი იმ თავში ყოველიეე გარყვნილობა და გესლიანობა უძევს..

შინ მ ფისტოფელო, ვინ მოგცანებ შენ გველო, იეზუიტო, შენს თავს უწოდო ქვეყნის მეგობარი, სამშობლოს ნამდვილი შვილი, ახალთაობის მწევრი? რა უფლებით? რა ღვაწლი მიგიძღვის საზოგადოებასთან, რომ მან პატივი გცეს? რა უფლებით უბნევ შენ მას გზა და კვალს? მოწია შენმა ალსასრულმა; გირჩევ ეხლავე დაიმალო, გაგვეცალო, კმარა ამდენი სიბოროტე შენის მხრით...

დ. დ.

პარიჟი, 22 (10) გიორგობისთვეს

ლიტერატურა

საზოგადო ჩვეული ისმის ჩვენი ვაჭრებისაგან ფოთი თფილისის რკინის გზის გამგეობაზე. ბვეუბნებიან და იწერებიან, რომ თითქმის ყველა სტანციებზე საქონელი ოხრათ, უპატრონოთ ჰყრია წვიმა-ავდარში და ფუჭდებაო; ამის გამო ბევრი ზიანი გვეძლევა და ყურის მგდებელი კაცი არ არისო. ბინსაკუთრებით ფოთის რკინის გზის სტანციაზე სჩივიან: ამას წინათ ავდრები იყოო აქ და გარეთ დაყრილი საქონელი სანახევროთ გაფუჭდაო. და ამდენ ჩვენს ზიანში პასუხის-მგებელი არავინ არ არისო...

*
* *

ჩვენ შეეკითხეთ, რომ თფილისის კრებას (ბანკს) ერთს თავის უკანასკნელს ხდომაში მოლაპარაკება ჰქონია იმაზე: ხელოსანი ხალხი ჩვენს კრებაში მივიღოთ თუ არ ო?

თუმცა ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ვითომც კლუბის უფროსებმა გადაწყვიტესო, რომ ხელოსანი ხალხი ჩვენს კლუბში არ უნდა მივიღოთ.

ნეტავი თუ მართალია ეს ამბავი? თუ მართალია, მიზეზი რა უნდა იყოს? იქნება ის, რომ პოდრადჩიკებსა და მდიდარი მამების წყალობით შეძლების მიმღებ მოქალაქეებს უფრო კეთილშობილად, უფრო რიგიან ხალხად შიაჩინიათ თავის თავი?!..

*
* *

ამბობენ, რომ ამ ზემოხსენებული გარემოებისაგან გამოჯავრებული თფილისის ხელოსანი ხალხი თავის საკუთარი კლუბის გამართვას აპირებსო.

*
* *

ერთმა შეძლებულმა გლეხმა შემოგვჩივლა, რომ ამას წინათ ერთს ყმაწვილ კაცს შვილი მივაბარე გასაზდელათაო, ფულები მივეცი რვა თუმანიო, იმ პირობითო, რომ გიმნაზიის ეგზამენისთვის მოემზადებინაო და მე სოფელში წაველიო. მაგრამ იმ ყმაწვილმა მომატყუილაო: ჩემი შვილი თურმე ერთ ვილაც სალდათს მიაბარა, თვეში შვიდ მანეთს აძლევდა (მე კი თოთხმეტს მართმევდა) და არც სწავლა და არც რიგიანი შენახვა იმას არ ღირსებიაო.

ამ გვარი შემთხვევები იშვიათი არ არის ჩვენში: ყმაწვილებს იყვანენ, ვითომ სასწავლებლად და შესანახავად; მაგრამ სწავლის ნაცვლად ხშირად მოსამსახურეთა ხდიან. მაშა სადამე მამებს სიფრთხილე მართებთ..

*
* *

აი ამბავი, რომლის შეტყობა ჩვენი მომავალი ისტორიკოსისათვის საინტერესო იქნება, რადგან ამაში ახლანდელი კაცის ხასიათი და ზნეობა გამოიხატება:

„ერთ ყმაწვილ კაცს ერთი შეძლებული კაცის ფული ემართა, რომელშიაც მამული ჰქონდა დაგირავებული. რამდენიმე წლის შემდეგ ვაჭარმა იანგარიში და სარგებელი რო თავნს მიათვალა, ათას თუმნამდინ შედგა, და გირაო კი ამ ფასათ არ ღირს. თავის ფულების ამოსაღებად ვაჭარმა შემდეგი ოინი იხმარა: ყმაწვილი კაცი დაიახლოვა და ბულვარზედ თუ ბირჟაზედ გვერდზედ იტარა, კლუბებში და სხვა შეყრილობაში. ასრე იტყოდა:—მახლას, ფლანი ისეთი ყოჩაღი რამ არის, ჭკვიანი, ანგარიშიანი, ერთი სიტყვით რა სასიძოა!..

„ამ გვარათ ცოტა ხანს შემდეგ ამ ვაჟს აქედან-იქიდან მოციქულები ამოუჩნდა; ვაჭარმა თვითონ მიინდო ეს საქმე და ბოლოს ათას-ორას თუმნიანი საცოლო მოუხერხა. საქ-

---

სარგებლით, რაც იქნება; მეორე, რო შენი ვენახი დამიგირავე ორ თუმანში და თუ ვერ მომცე ორი თუმანი, მე დამრჩეს.

— ბაატონი ხარ, ეგრე იყოს! (ბლეხი ბირბის მწერლის მოსაყვანათ, ვაჭარი არხეინათ ბოლთას ეწევა მინდორზედ. ამ დროს მახლობლად ისმის ერთი ყვირილი და ღრიალი. ერთი ტყავში გახვეული კაცი ყვირის:)

— შენ ვინ ოხერი გდიხარ, კაცო, რომ ეგრე ილანძღები?

— შენ ვინა გდიხარ, თორემ მე შენი მწერალი ვარ, შენი ბორჩიკი ვარ, ვერ მიცნობ?

— შენ ბორჩიკი კი არა, ჩვენი მოსამსახურე ხარ. დარბი აქეთ-იქით დილიდამ საღამომდი და ფულებს იღებ, სხვა რა ხარ, შე მოთრეულო შენა!

— ბორჩიკი ვარ, ბორჩიკი! შენი ბორჩიკი ვარ! თვალებს ამოგთხრი და ისე წაგართმევ ფულებსა. მე შენი თავპირში მცემელი ვარ, უნდა გცემო, გამოგართვა ფულები, შევინახო და ბოლოს ხაზინაში შევიტანო. ეხლა ხო იცი, რაცა ვარ! სოფლის კაზნაჩეი ვარ მე, თუ მიცნობ, თუ არა და გაცნობებ თავს! ბინდა ა მინუთში გცემო ე კეტი? ბეუბნები, ა მინუთში წარმოადგინე სკოლის ფული-მეთქი, თორე დაგარბევ, ხარს მოგტაცებ, ძროხას მოგტაცებ და მაშინ მიცნობ, თუ შენი უფროსი არა ვარ!

— რის ფულებიო? ყრიახობს ერთი დედაკაცი

— რის ფულები და სკოლის ფულები, სკოლის! დღეს თუ ხვალ უჩიტელები მოვლენ.

— მერე რა უნდა ჰქნან, რო მოვლენ? ი უჩიტელებია თუ...

— რა უნდა ჰქნან და სკოლა უნდა გაალონ, ბიჭები უნდა მირეკოთ სკოლაში და ასწავლიან.

— სკოლა ჩვენმა მღვდელმა კი არ მოიგონა, რო ვერაფერი გაარიგა. ერთი იმან დაასრულებინა კორპუზი ბიჭებს, მეორეთ ესენი. რა საჭიროა ჩემი შვილი იქ მივცე! რასაკვირველია, ეგრე არ მინდა! ნახირიდამ გამოვიყვან ჩემ შვილსა და სკოლაში დავაბძანებ, სწორეთ! სამჯერ ეგრე თქვით, მამა გიცხონდებათ!

— ეგ შენ იცი, გინდა ასწავლე, გინდა ნუ ასწავლი! ჯანაბას იყავით შენ და შენი შვილი! ე ფულები კი უნდა გადაიხადო და!

— ადამიანო, იცით მე რა გავიგე! (წამოიძახებს ერთი ამდენხანს გაჩუმებული კაცი:) სკოლები იმითთვინ შემოიღეს თურმე, რო ასწავლიან ჩვენ ბიჭებსა და მერე ლეკრუთში წაასხამენ სუყველასაო!... (ამ დროს გამოჩნდება მთვრალი რამდენიმე ცხენოსნები, რომლებთაც მეფე-დედოფალი ცხენებზედ შესკუპებულები მოჰყავთ. მაყრები იმღერიან: „მოგვყავს და მოგვიხარიან!“)

— მამა გიცხონდა, შენ ეგ გიხაროდეს! წამოიძახებს ერთი გლეხი. შენ ის უფრო გახარია, რომ გამოგბრუშულხარ და კიდენ გინდა ორიოდე ხელადა ზედ დააყოლო! ემანდ ცხენიდამ არ გადმოარდე ერთი, თორე მაშინ იტყვი შენს მოგვიხარიას! (ეს სიტყვა ძლივს დაასრულა, რომ ერთმა ძალზედ დამთვრალმა მაყრებთაგანმა დედამიწაზედ ბრაგვანი გაადინა. ხალხი სიცილს შეჰქნის და ბოლოს დაიშლებიან).

აბაშელი

მის დაბოლაეების დროს უთხრა ვაჟს: წადი, შვილო, ჯვარი დაიწერე, შენი ფული ჩემთან არის, ნურაფრისა გეშინიან. დაარხაინებული ვაჟი წავიდა, ჯვარი დაიწერა.

„რამდენიმე დღის შემდეგ, გამოეცხადა ამ ვაჭარს ყმაწვილი და ფულზედ ჩამოუგდო ლაპარაკი. ამან ანგარიშები წინ დაუწყო და მიუბრუნდა ამ სიტყვებით:“—იცი, შვილო, შენ ეხლა ცოლის პატრონი ხარ, ხვალ შვილები გეყოლება; მოდი, გირჩევ შენი მამული დაიხსენი, ფული დაგეხარჯება, მამული უნჯია, თან და თან ფასი ედება, შენთვინ ძვირათა ღირს!“ ამ თათბირებით داااყაბულა, (რო კიდეც არ ეყაბულა, რა ძალა ჰქონდა) იმ გირაოზედ თავნი და სარგებელი სრულად იანგარიშა, თვითონ გირაოს ფურცელი დაუხია, თავისი სუფთათ გაინალდა უდავიდარაბოთ, უჩიველელათ და დანარჩენი ფულიც დაუბრუნა.

„ამის შემდეგ იტყვით: ჩვენი ხალხი უანგარიშო არისო!“

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორიდამ, 23 ნოემბერს

დიდი ხანი იყო, რაც ბორი არ მენახა; როგორც იყო მომცა დრომ და ამ მოკლე ხანში ყოველი ბორში. მართლათაც რომ სწორეთ საცოდავია საბრალო ბორი, ყველასაგან გათახსირებული და დავიწყებული.

თუ ქუჩები, თუ ბაზარი რომ ნახოთ, შეგებრალებათ; ღამე ჩემი მტერი გაატაროს ამათ ქუჩებში და ბაზარში, მეტადრე ავდარში. ქუჩები ისრე არის დაეიწყებული, რომ არც გზის კეთება და არც ფარნები ამისათვის ჯერ არ არის მოგონილი. ერთს გორელს ეჰკითხე:—რა არის, რომ ოცოდე ფარანი გააკეთოთ და აანთოთ ქუჩებში-მეთქი, ნაძეტნავათ იმ ადგილებში, სადაც საჭირო არის? პასუხი მისი ეს იყო: ისევც ღმერთი ბარაქას მისცემს ჩვენს წარსულს და აწმყო დეპუტატებსაო, რომ იმათ არაფერი არ იფიქრონო, იმათთვის რა საჭიროა ან ფარნები და ან ქუჩებიო. ამანვე მითხრა, რომ ამას წინეთ ერთს ძალიან ძუნწ კაცს რაღაც შემთხვევისა გამო, ბორის ქუჩებში ათი ფარნის გასამართათ შეუწირია ოთხასი მანეთი; და ფარნებს კი ვერა ეხედავთ... რამდენი სხვა ამისთანა ამბებიაო, სადა სცალიანთო, რომ ქალაქის გასამშვენიერებლათ მოიცალონო!

ამათ კიდევ თავიანთი შრომის შემსუბუქებისათვის აურჩევიათ ერთი ნაფუცი ფულების შემგროვებელიო „ზბორჩიკი“, წელიწადში სამას მანეთს აძლევენო ქალაქის ფულსაო, სახელათ ჰქვიან ზეთ-ბიორგი. თურმე ასეთი დახელოვნებული ყოფილა ეს უფალი, რომ მეტი არ შეიძლება: ცხვირს რომ დააცემინო და ღვთის წყალობა უთხრა, „ფულები მოიტანეო“—გეტყვის. ზბორსჩიკათ სამას მანეთათ დგას, თქვენს მზეს ეფიცავ, სხვაგან ხუთასათაც არ დადგება, ანის უფალნი დეპუტატები, რომელნიც ათი და თორმეტი წელიწადი დეპუტატათ არიან და არაფერს აკეთებენ, ისევ ჩვენ დაესდგეთო!

იფიქრეთ აქ რა უნდა გამოვიდეს! რასაკვერელია, სახლში ამისთანა პირები რომ იქნებიან რა ხეირი დაეყრება იმ სახლს.

ახლა მიეხედოთ ბორის ბაზარს. უნდა მოგახსენოთ, ბორის ციხე რომ აშენებულა, მგონი, მას შემდეგ დიდი ხანი ალარ გასულა, რომ ბაზარი გაუკეთებიათ. ახლა ეს ბაზარი ისეთს მდგომარეობაშია, რომ შიშით ვერ გაივლის კაცი, რომ თავში არა დამეცესრაო, — იფიქრებთ, აი ახლა, ავდრის დროს კი რომ სულ არ გაიაროთ ბაზარში, ის ეჯობინება, ამისათვის რომ, პირველი, ჩამოწოლის ფიქრია, რომ არ დამიტანოსო; მეორე, ვინც იცის ბორის გარემოება, უეჭველია, შენიშნული ექმნება, რომ ამ ბაზრის ბანებზედ არის დათეილი სხეა და სხვა ხალხისაგან „ხითარაანთ ჩაი“. ავდარში ჩამოდის ამ მთელს ბაზარში ამ ჩაის წვენი, და დასდის თავზედ გამლელ-გამომლელს. იფიქრეთ, რა სუნი იქნება ამ ბორის ბაზარში.

მაგრამ საბრალო ბორს ნუგეში არ დაჰკარგვია, თუმცა ძალიან უკანასკნელს ადგილას არის და ძლიესღა უცემს მაჯა. მეგრამ, როგორც შევიტყე, იმედია კარგს დროს მიასწროს ექიმმა და გაანთავისუფლოს ავათმყოფობისაგან.

ახლათ ბორისთვის აღმორჩეულმა თავმა (გალავამ,) იმედია, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, როგორც ბორის ქუჩებს, ფარნებს და ბაზარს, ეგრეთვე რაც სხვა ნაკლოვანება აქვს ბორს და აუჩნდეს კარგს თავათ და უფროსთ.

მართლა უთქვამთ: „ნეტავი გორელი მქნაო და ბორში კი არ მამყოფაო!“

ძველი ბორელი

რუსეთი

† ნოემბრის 14-ს პეტერბურღში გადაცვლილა ერთი ახალგაზდა ნიჭიერი მწერალი, სახელად პეტრე ბიბიკოვი. მიცვალებული 1832 წელს დაიბადა; 1850 წელს შეიდა სამხედრო სამსახურში და ყირიმის ომის დროს კავკასიაში იყო. როდესაც პოლშაში არეულობა დაიწყო, 1863 წელს, ის გამოვიდა სამხედრო სამსახურიდამ და მას შემდეგ ლიტერატურას შესწირა თავი. სხვათა შორის, 1865 წელს იმან გამოსცა წიგნი „კრიტიკული ეტიუდები,“ რომლის თაობაზედაც პირველი ლიტერატურული პროცესსი იყო რუსეთში; ამას გარდა სხვა და სხვა ჟურნალებში სწერდა სტატიებსა. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ბიბიკოვი მხოლოთ უცხო ენებიდამ სამეცნიერო წიგნებს სთარგმნიდა. შარშან ის შეიშალა ჭკუიდამ და მას აქეთ საავათმყოფოში იყო, სადაც კიდეც მოკვდა.

—

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია პეტერბურღის თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების ანგარიში, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ამ საზოგადოებას, სხვათა შორის, შარშან ცალკე ექიმი დაუქირავებია, რომლის მოვალეობა ეხოლოთ ის არის, რომ ღარიბ ხალხს მუქთად აუცრას ყვავილი. ერთი წლის განმავლობაში ამ ექიმს თითქმის 2,000 სულისთვის აუცრია ყვავილი.

* * *

ოდესის ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ერთი ექიმის დაქირავება, რომელიც ეალდებული იქნება, რომ ამ ქალაქის ღარიბ ხალხს მუქთად უექიმოს.

* * *

რუსულს გაზეთში „ახალს დროებაში“ იწერებიან, რომ მართებლობას განზრახვა აქვსო, რომ ბრძანება გამოსცესო, რომ კასპიის ზღვის ყველა ხომალდებზე, შეშისა და ნახშირის მაგივრად, მხოლოთ ნავთი იხმარონო, ნავთით ამუშაონ ცეცხლის გემებიო. ამ თავით სამს თუ ოთხს ცეცხლის გემზე აპირებენ ნავთის ხმარებას გამოსაცდელად და მერე კი ყველა გემებზედაო.

უცხო ქვეყნები

გერმანია. რეიტერის ტელეგრაფის სააგენტოს გაზეთში დაბეჭდილა: „ამბავი რუსეთის ჯარის მოძრაობაზე მიღებულია ნამდვილის წყაროდამ; ამ ამბავის სინამდვილეზე ლონდონისა და ვენის გაზეთების კორრესპონდენტებიც გვარწმუნებენ და „მმართებლობის მოამბეც“ არ უარ ჰყოფს იმას.“

მეორეს მხრით ბერლინიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს შემდეგ ამბავს: ნოემბრის 18-ს რუსეთის სახელმწიფო კანცლერს, თ. გორჩაკოვს ერთი საათის განმავლობაში ჰქონდა მოლაპარაკება თ. ბისმარკთან უცხო ქვეყნის სამინისტროში. ამის შემდეგ ის იყო თვითონ თ. ბისმარკის სახლში და ოთხ საათზე გერმანიის იმპერატორთან ვილჰელმთან ჰქონდა აუდიენცია. იმავე დღეს, საღამოს თ. გორჩაკოვი პეტერბურღისკენ უნდა გამგზავრებულიყო.

—

გერცოგოვინა. უკანასკნელი ფოჩტით მოსული გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ინსურგენტებს ნამდვილად გაუმარჯვნიათ რამდენჯერმე და ამის გამო მხნეობა და იმედი თან-და-თან ემატებათო. ამნაირად, როგორც ჰხედამთ, ბრძოლის საქმე კი კარგათ მიუდისთ, მაგრამ აჯანყებულების ჩერნოგორიაში და ავსტრიაში დახიზნული ოჯახები კი ძალიან გაჭირებულ მდგომარეობაში არის თურმე. ერთი ჩერნოგორიული გაზეთის კორრესპონდენტი, სხვათა შორის, იწერება, რომ ამ ჟამად ჩვენში 15,000 სულია დახიზნული აჯანყებულების ცოლ-შვილი და მოხუცებულებიო, და მომეტებული ნაწილი ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ ტანთსაცმელი არა აქვთ ამ ზამთარში და ლუკმა-პური უჭირთ საშოვნელათაო.

—

ჩერნოგორია. ვენის გაზეთებში დაბეჭდილია ტელეგრამმა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ჩერნოგორიის მთავარს ერთი ელჩი ტერბურღში გაუგზავნია და ერთიც სერბიაში. გაზეთი არ ამბობს: რა მიზნით არიან ეს ელჩები გაგზავნილნი.

—

საფრანგეთი. იუსტაციის მინისტრი დიუფორი თხოულობს, რომ იმის ახალი კანონი, ბეჭდვის თაობაზე, სენატორების არჩევანამდი განიხილოს ნაციონალურმა კრებამ. ამის გამო ამბობენ, რომ სენატორების არჩევანი მომავალი ქრისტეშობისთვის შუა რიცხვებში იქნება დანიშნულიო და საზოგადო არჩევანი (ნაციონალური კრების დეპუტატებისა) კი მომავალი წლის მარტზე ადრე არ მოხდებაო.

ნარევი

ერთი მდიდარი კაცის შვილი დადიოდა სასაფლაოზედ ღარიბ კაცის შვილთან.

— ჰხედავ, ეუბნება მდიდარი ღარიბს: მამი ჩემის სასაფლაოზედ როგორი მარმარილოს ქვა ძევს და რა მშვენივრად არის ზედ წარწერილი? მამი შენის სასაფლაოზედ კი მარტო მიწა აყრია.

მაშინ ღარიბი მიუგებს:

—ის უფრო კარგი არ არის, რომ ქვა არ აძევს! მეორეთ მოსვლის დროს, სინამ მამა შენი ქვას გადააბრუნებდეს, და ისე ამოვიდოდეს, მამა ჩემი სამოთხეში შევა.

—

მიდის სამი კაცი ერთ მოხუცებულთან; ამათ დაუწყეს დაცინვა ბებერს.

— ეს აბრაამის პაპა არის, სთქვა პირველმა.

— არა, ეს ისააკია, სთქვა მეორემ.

— არა, იაკობია, დაუმატა მეორემ.

— ვერც ერთმა თქვენგანმა ვერ მიცანით, მიუგო მოხუცმა: მე საული ვარ, ვეძებდი მამი ჩემის ვირებსა და აი კიდეც ვნახე.

—

სტოლს აქეთ-იქით უსხედან ორნი. ერთმა მათგანმა გასაჯავრებლად უთხრა მეორეს:

— რამდენი მანძილია შენსა და გიჟს შუა?

— ცოტა, მხოლოდ ერთი სტოლი, მიუგო მეორემ.

თეოფ. ქანდელაკი

* * *

ერთს ჩვენებურს ყმაწვილს კაცს რამოდენიმე გასათხოვარი და ყავდა თვალათ ლამაზები. მაგრამ არ იქნა, ვერ გაათხოვა ვერც ერთი, არავინ არ ეამოჩნდა მათი მათხოვარი. გაუჭირდა საქმე, ქალები ხელში შამოაბერდება ლამის.

ბოლოს მოიგონა ერთი ღონის-ძიება: წავიდა თფილისს და იყო იქ რამოდენიმე ხანი. შემდეგ მოაწერინა სხვას თავის თავზე, ვითომ მომკდარიყოს და თვითან დაიმალა სადღაც. დაეხვივნენ იმწამსვე მის დებს საქრმოები და დაიტაცეს. შემდეგ შეიყარენ ყველა სიძეები და იყოფენ მამულს და ჩხუბობენ ერთმანეთში, ვერა გზით ვერ მორიგდენ; ლამის ერთმანეთი გაწყვიტონ. ამ დროს შემოალებს კარს მათი ცოლის ძმა, რომელიც მკვდარი გონიათ..

ღმერთმა იმისთანა ელდა თქვენს მტერს აშოროს, როგორიც ელდა იმათ ეცათ.

სხვიტორელი

* * *

ერთს ფრანცუზულს გაზეთში ახლანდელი ხონთქრის ცხოვრება აწერილი. მოგვყავს რამდენიმე ალაგი ამ აწერიდამ:

„Ყველაზე უფრო ხონთქარს კაცების, თხებისა და მამლების ჭიდაობის ყურება უყვარს. ხანდისხან რომელსამე თავის მახლობელს გააბედნიერებს მით, რომ ნარდს ეთამაშება. Ადრე, როცა კარგ გუნებაზე იყო ხოლმე, ჭიდაობას გამართავდა სასახლეში; მოარჩევდა ერთს ვისმე და დაეჭიდებოდა. მაგრამ ვაი იმის მოწინააღმდეგის ბრალი, თუ ის ხონთქრის დაცემას გაბედავდა. Ერთი დაახლოებული კაცი ჰყავდა ნეკრეს-ფაშა; ერთი აყლაყუდა, ზორბა კაცი იყო და არაფერი არ ასიამოვნებდა ხონთქარს ისე, როგორც იმის დაცემა. ნერვეს-ფაშამ კარგათ იცოდა ხონთქრის ხასიათი: რამდენჯერ დაეჭიდებოდა, იმდენჯერ წაგორდებოდა და გახარებული ხონთქარი თითო რამე ძვირფას ნივთს აჩუქებდა ამისთვის ასე, რომ ბოლოს ძალიან მდიდარი კაცი შეიქნა.“

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, ჩიტახოვის სახლებში.

Ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ.

Ოკულისტი: ექიმი Ტელიაფუსი—ქალისა და ყმაწვილების ავთმყოფობისათვის, Ბარალეიჩი და Ლისიცევი—შინაგანი ავთყოფობისათვის.

Სამშაბათს: Ვერმიშევი და Მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

Ოთხშაბათს: Ლისიცევი—შინაგანი ავთმყოფ., Მაკოვსკი—ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: Ბრაბოვსკი—ხირურგიული ავთმყოფ., Ტელიაფუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავთმყოფ. და Ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

Პარასკევს: Ლისიცევი და Მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

Შაბათს: Ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ. და Მაკოვსკი—ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ისყიდება

Თფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყმაწვილო კოლა

პირველ - დაწყებითი მოთხრობებისა,

ბუნების მეცნიერებიდამ

შედგენილი Იაკობ ბოგებაშვილისაგან

ბამოცემული სტ. ზარფოვისაგან

ფასი ხუთი შაური

ისყიდება

Ქალანდაძის და ფართანოვის წიგნის მაღაზიაში ქუჩის ხიდზე პ. Უმიკაშვილის გამოცემანი:

ბრიგოლ ორბელიანის ლექსები

ფასი ათი შაური

სიბრძნე სიცრუის წიგნი

თქმული

საბა ორბელიანისაგან

ფასი ათი შაური

Დაიბეჭდა და ისყიდება

Თფილისში, ექ. ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, მ. ბებუთოვის სახლებში და წიგნების მაღაზიაში

ჭიანური

ანუ

სახუმრო ლექსები

შინაარსით:

— Ბამარჯობა მკითხველს! — Ქებით გაბასება ქალებთან! — Ეჭის აზრი ლამაზ ქალზედ. — Ცოლ ქმობის ვითარება. Იმერლების და ქართველების შესხმა. — Ბატონ-ყმობის ლექსი. — Დღეგრძელობა წამკითხველს! —

Შეკრებილი და გამოცემული ექ. ხელაძისაგან და Თეოფ. ქანდელაკისაგან.

ფასი ორი შაური.

Უფ. Ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია Ივ. Როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი.

Როტინოვის ფოტოგრაფიაში

(სასახლის ქუჩაზე, ზ. Სარაჯევის სახლებში),

Ისყიდება სხვა და სხვა ქვეყნების წარჩინებული მწერლების სურათები და აგრეთვე ახლად გადაღებული სურათი

 შოთა რუსთველისა

ფასი: სულ დიდი კედლის სურათი — 1 მან. თითო ეგზ.

— — კაბინეტისა 50 კ.

პატარა კარტოჩკები 20 კ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисѣ. Въ фотографію Роинова, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджова.

პეტერბურღიდამ ჩამოსული ბებია ბარტენევ — ივანოვისა

Ცხოვრობს ქრუზენშტერნის ქუჩაზე, მუნთოლევის სახლებში, სახელმწიფო ქონების ბამგეობის პირ-და-პირ.

Მნახველებს იღებს ყოველ დღე, დილაობით 9 საათიდამ 11-მდი. Ღარიბებს უფულოდ აძლევს შეწყობას.

Თფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე სულიკოვისა და სულთანოვიჩის ძაღაზიებში და მიგაზეთეებთან ისყიდება გეომეტრიული სხეულები საუკეთესო კარდონის ქაღალდისაგან გაკეთებული რეზინით. Გეომეტრიის და ხაზვის წავლის დროს აუცილებელად საჭიროა. Გამოცემა ა. Ბენეკისა. ფასი სამი აბაზი გაუგზავნელად. Ვინც 10 ეგზემპლიარს ანუ მომეტებულს გამოიწერს, იმათ გაგზავნისათვის არაფერი გადახდებათ.

Დაიბეჭდა და ისყიდება

თამარ საქართველოს

ბატონიშვილის

Ისტორიული რომანი

ბ. რჩეულოვისა.

Თფილისში: Მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და Ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

Ერთს ნემეცის ქალს ჰსურს აიყვანოს ახალგაზდა შაგირდები ნემეცურისა და ფრანცუზულ ენის სასწავლებელად.

Შაგირდები იქლიან ამ ქალთან ყოველ დღე დილიდამ შუადღემდი ანუ ნასადილევიდამ საღამომდი.

Შეუძლიან აგრეთვე ურაკებზე თვითონაც იარონ.

ფასი: თითო შაგირდისათვის თვეში ხუთი მანეთი.

Მსურველთ შეუძლიანთ შემდეგის ადრესით მიმართონ: Თფილისში, ანჩის ხატის უბანში, ბრძელის სახლებში და აგრეთვე „Დროების“ რედაქციაში. (3—2)

Იბეჭდება და მცირე ხანში გამოვა ბეჭდიდამ „სახელმძღვანელო წიგნი სოფლის მღვდლებთათვის

შესრულების დროს მათგან საიდუმლო ქორწინებისა და ნათლის ღებისა. Დამატებითა სხვა და სხვა მღვდლისაგან მისაცემი მოწმობების, საეკკლესიო საბუთების, წარმოების ფორმებთა და ასოებზე დაწყობილი ყველა წმიდანების სახელითა მამათ სქესისა ცალკე და მდედრთა—ცალკე, ჩვენებითა მათი დღესასწაულობის დროთა.

Სარგებლოდ და საჭიროდ იცნო ყველა მღვდლებთათვის მრთელი საქართველოს საეკზარხოსოში.

Შედგენილი მღვდლის Დავით ღამბაშიძისაგან.

Ეს წიგნი განიხილა უწმინდესის და უმართებულესის სინოდის საქართველო Იმერეთის კანტორამ და სხ.

ისყიდება

Ექვთიმე ხელაძის და ამხ. გამოცემანი:

„Სურამის ციხე“ — 20 კ.
„Ვეფხვის ტყაოსანი“ უყ. 50 „
— — ყდით — 70 „
ლექსები და ანდაზები 5 „
საყოველ-დღეო ლოც. 5 „
სამიჯნოო ლექსები 5 „
Მთერიანი — — — 5 „
Მოძრავი ასოები — — 5 „

Აგრეთვე ისყიდება ახლად გამოსული „Მგოსანი“ ლექსები, თქმული Დავით ბიეშვილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.

Ყველა ეს წიგნები ისყიდებიან Თფილისში Ექვთიმე ხელაძის სტამბაში და წიგნების მაღაზიებში, სხვა ქალაქებში „Დროების“ აგენტებთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	9	36	4	54				
Მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
Გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
Ბეჭათუბანი	—	—			4	42	2	46
Ყვირილა .	—	—			5	81	3	23
Ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
Სამტრედია .	—	—			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
Ფოთი . .	8	40						
Ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
Სამტრედია.	—	—			2	6	1	14
Ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
Ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
Ბეჭათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
Გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
Მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
Თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) Ფოთიდამ:

Ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე.

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

Ფოთს—ოთხშაბათს, დილით.

Ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

Ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ქუთაისს, Ფოთს . .	1	—
Ბორს, Დუშეთს, Სიღნახს		50
Როსტოვს Ოდესას Მოსკოვს	2	—
Პეტერბურგს, Ვარშავას . .	2	—
Ოსმალეთში, Შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) Თფილისიდამ:

Სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., Ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

Თფილისისა და Ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) Ბორიდამ.

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) Ფოთიდამ:

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
Ღია წიგნის	4
Დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
Პეტერბურგი, 22 გიორგ.		
Ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 341½ სანტიმი.	—	89
ესკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	75
მოგებიანი(პირველისესხი)	225	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	—
ბირაოს ფურცლები:		
Თფილ. საზნ. ბანკისა.	94	--
ხერსონის ბანკის (5½)	87	85
მოსკოვის (5%). . . .	86	75
აქციები:		
Ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
Ფოთი-Თფილ.რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
Თფილისი, 26 გიორგ.		
პური შორაგალის ფთ.	1	5
ქერი ფუთი. . . .	—	55
ბამბა ერევნისა, ფუთი .	6	20
— Ამერიკისა, ფუთი. .	5	50
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
— Თარაქამისა ფთ. .	7	50
Აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	90
— ფხვნილი ფუთი . .	6	40
Ყავა გრგვალი ფუთი .	18	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
Ოქრო ½ იმპერიალი. .	6	10

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Ноября 1875 г. Типографія Меликова и К°. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.